

mnK53761

2

ს. ს. ს. რ. გ. ს. პ.

საქართველოს მუნიციპალიტეტი

ნარგიზ ლევან
XVIII საკუთრის ლიტერატური
კონკრეტი

თბილისი

1936

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ მ ს მ უ ზ ე უ ა ნ

პველი პარტული მხატვრული მფერლობა

ნ ა რ გ ლ გ რ ვ პ პ პ ნ ლ

XVIII საუკუნის ლირიკული პოემა

ალ. ბარაშიძე

რედაქციით

ტექსტი. წინასიტყვაობა. ლექსიკონი.

თვილისი

1936

၁၅၂ ၅၃၄၆၄

မ ာ ရ ဒ ု ဝ မ ဒ ု ပ ု မ ာ ဥ



ହେମପୂର୍ଣ୍ଣମାତ୍ରା କୀଳାନ୍ଦୋଧାରେଣ୍ଟ

- 1 କିମ୍ବାନ୍ଦୁରାଜାଙ୍ଗାନ୍ଦୁ . ଶ୍ରୀମଦ୍ କାନ୍ତିମାତ୍ରା
ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା . ଯଜ୍ଞମାତ୍ରାଙ୍ଗାନ୍ଦୁ
ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା . ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା
ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା . ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା
- 2 ଶ୍ରୀ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା
ଶ୍ରୀ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା . ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା
ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା . ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା
- 3 ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା . ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା
ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା . ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା
ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା . ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା
- 4 ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା . ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା
ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା . ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା
ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା . ଶ୍ରୀମଦ୍ ବିଷ୍ଣୁମାତ୍ରା

ჭ ი ნ ა ს ი ტ უ ვ ა რ ბ ა

„ნარგიზოვანი“ ჩინებული ლირიკული პოემაა, ანუ ლირიკული ლექსების თავისებური კრებულია. როგორც ასეთი, ის იშვიათი ძეგლია ძეველი ქართული მწერლობისა. პოემაში მხატვრულად არის შერწყმული ძლიერი სატრფიალო გრძნობებისა და მხურვალე პატ-რიოტიკის ხმები. პატრიოტული ლირიკის დარგში „ნარგიზოვანს“ უცილოდ განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოს ფეოდალური ეპოქის ქართულ მწერლობაში. სატრფიალო მოტივების მხრით კი ეს მწერლობა თუმცა დიდად უხვია, მაგრამ აქ (ნარგიზოვანში) სიყვარულის სიმძაფრე გაღმოცემულია რაღაც იშვიათი სინაზით, გრძნობიერებით და სიცხოველით. პოემაში დიდ სიმაღლემდის აღწევს ნამდვილი, ხალასი ლირიზმი.

პოეტური ოსტატობით „ნარგიზოვანი“ სამაგალითოა. პოემის თითქმის ყოველი თავი იძლევა ახალსა და თავისებურ რიტმს, მეტრს, კომპოზიციას. ტრადიციული შაირის (16 მარცვლოვანი ტაების) გვერდით კრებულში გვხვდება 7, 8, 10, 11, 12, 13 და 15 მარცვლოვანი ტაებებიც. ქართული ლექსის „დეფორმაცია“ ნარგიზოვანში მნიშვნელოვანია და გაბედული, პოეტური სიტყვა შტკიცედაა მომარჯვებული, მიღწეულია საუცხოვო ბგერული ჰარმონიულობა, კარგად არის გამოყენებული ბესიკის და საიათნოვას შემოლებული სტროფიკა მთელი თავისი მხატვრული აღნაგობით, მოულოდნელი რიტმული გადასვლებით, მუხამბაზური რეფრენით:

შენთვის სიკვდილი მაჩნია პირსა,
ცრემლსა გაპკურებ ზედ დანატირსა.
ვინდა შემიტკბობს თავ-განაწირსა?
გეხვევი ყელსა, თვალ-შვენიერო!

სამწუხაროდ, ეს საყურადღებო ლიტერატურული ძეგლი, რომელიც სპეციალურ განხილვასა და შეფასებას საჭიროებს (აქ მხოლოდ საერთო სქემაა მოხაზული ამ განხილვისათვის), დღემდის გამოქვეყნებულიც კი არ ყოფილა. პირველი ცნობა „ნარგიზოვანის“ შესახებ

დაბეჭდა გაზეთ „დროება“-ში (1878 წ., № 16). აი ეს ცნობაც
მთლიანად [საქართველო: დლიური]:

„ჩენ ვიპოვნეთ ამ დღებში ერთი პატარა ქართული ძველი
ხელთნაწერი წიგნი, პოემა „ნარგიზოვანი“. ამ წიგნიდამ სჩანს, რომ
ეს პოემა მეფე არჩილს დაუწერია. ამას იმიტომ ვაცხადებთ, რომ
ჩვენს ძველს მწიგნობრობაში სრულებით დაკარგული იყო და დავი-
წყებული ამ პოემის დამწერი. ახლა ჩენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ
ამ ჩინებული პოემის დამწერი არის მეფე არჩილი, რომელსაც ლექ-
სად აუწერია მეფე თეიმურაზის ცხოვრება. ეს პოემა [თეიმურაზის
ცხოვრება? — ა. ბ.] 1853 წელს მიცვალებულ პ. იოსელიანმა
დაბეჭდა უსახელოდ [?] და გამოსცა თფილისში“.

იმავე „დროებას“ 1877 წლის №57-ში მოთავსებულია „სია
ძველი ქართული წიგნებისა“. ამ სიაში მოხსენებულია: „ნარგიზოვა-
ნი, პოემა, ოთხი კარი“. „ნარგიზოვანის“ ერთი ხელნაწერი ჰქონია
ზ. ჭიჭინაძესაც. უკანასკნელი ჩამოთვლის რა არჩილის ნაწე-
რებს, შენიშვნას: ¹

„არს პოემა ნარგიზოვანია.. ეს პოემა ჯერეთ და-
უბეჭდავია. ინახება ჩემს ხელში. ამ ნარგიზოვანს იოსელი-
ანიც ჰასახელებს [sic] „დუშეთის აღწერაში“. აი ნიმუშათ
ერთი აღგილი ნარგიზოვანიდამ... ნარგიზოვანი პატარა პოემა
არის, ასე 30 ფურცელი, მეტი არ იქნება“.

ზ. ჭიჭინაძეს „ნიმუშათ“ დაბეჭდილი აქვს მე-8 კარის („ქარ-
თლი შვენიერია“ს) ოთხი უკანასკნელი სტროფი. ტექსტი ჩვეულები-
სამებრ უმსგავსლადა გამოცემული. სხვათა შორის, ზ. ჭიჭინაძის
დასახელებულ „დუშეთის აღწერაში“ [Описание города Душета,
Тиф. 1860] არავითარი ცნობა არ იპოვება „ნარგიზოვანის“ შე-
სახებ.

როგორც ეხლა ირკვევა, ზ. ჭიჭინაძეს ხელთ ჰქონია წ. ქ.
გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის ხელნაწერი № 1087, ანუ
ჩვენი სიგნატურით E. ეს ხელნაწერი ექვ. თაყაიშვილის სიტ-
უით არის „ნეკუსტონი მეცნიერებების XIX საუკუნეებისათვის“.²

თავის მხრით E ხელნაწერი პირია იმავე საზოგადოების ფონ-
დის № 118-ისა (ჩვენი სიგნატურით C-სი). ხელნაწერის ქაღალ-
დის ფილიგრანია 1820 წელი და, მაშასადამე, სიძველით ვერც ეს
დაიკვეხის. ხელნაწერს აღნიშნული აქვს ზ. ჭიჭინაძის კუთვნი

¹ ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრა-
მეტე საუკუნეებში, ტფილისი 1888, გვ. 22.

² Описание, II, 183.

ლება, მისი (ხელნაწერის) საერთო სათაურია: „არჩილ მეფის ლექ-
სები. მიჯნურთ ბადე“. საგულისხმოა, რომ „ლექსების“ შემდეგ ვი-
ღიაცას ფრჩხილები ჩაუსვამს კითხვისა და განცვიფრების ნიშნებით
(?!), ხოლო სხვას კიდევ ჩვენი თანამედროვე ხელით (ვგონებ მ. ჯა-
ნაშვილის ხელია) სრულიად გადაუხაზავს ეს სათაური და მიუწე-
რია: „ქაიხოსრო ანდრონიქაშვილის თხზულება: მიჯნურთ ბადე“.
ამავე ხელნაწერს დაუცავს აგრეთვე მინაწერი: „პოემა ნარგიზოვანი
მეფე არჩილის დაწერილია“; ამჟამად გადახაზულია ფრაზის პირვე-
ლი ნახევარი („პოემა ნარგიზოვანი“). ერთი სიტყვით, „ნარგიზოვა-
ნის“ არჩილისადმი მიკუთვნებას წყაროდ ჰქონია ამ გვიანდელი და
საეჭვო ხელნაწერის საეჭვო მინაწერი. ზ. ჭიჭინაძის წიგნაკი-
დან საეჭვო აზრი გადავიდა ალ. ხახანაშვილის ცნობილ შრო-
მაში¹. საყურადღებოა, რომ ალ. ხახანაშვილიც, ალბათ
ზ. ჭიჭინაძის გავლენით, შეუმოწმებლად მიუთითებს პ. იოსე-
ლიანის „დუშეთის აღწერილობაზე“.

ზ. ჭიჭინაძისა და ალ. ხახანაშვილის მოსაზრებათა კრიტიკა (და
ამასთანავე „ნარგიზოვანის“ მართებული შეფასება) მოგვცა პროფ.
პ. კეჩელიძემ:²

„ეს ნაწარმოები, რომელიც მეტად ჰარმონიული, ლამაზი
და მგრძნობიარე ლექსითაა დაწერილი, ნათქვამი უნდა იყოს
არა უადრეს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა, როდესაც მა-
მუკა ბარათაშვილმა, 16 მარცვლოვანი ლექსის ბატონობის შერ-
ყოვის შემდეგ, დააკანონა, ხოლო დავით გურამიშვილმა და
სხვებმა განახორციელეს კიდეც და იწყეს წერა სხვადასხვა სა-
ზომით... არჩილის დროს ამ საზომით ჯერ კიდევ არ სწერ-
დენ. თან მის დროს არ იწერებოდა ისეთი შინაარსისა და მო-
ტივის ლექსები, როგორიცაა ნარგიზოვანი; ამას ისიც უნდა
დაუმატოთ, რომ ჩვენ არ ვიცით არც ერთი ხელნაწერი ამ ნა-
წარმოებისა, რომელიც არამცთუ მე-18 საუკუნეს, მე-19 საუკუ-
ნის ფარგლებიდან გამოდიოდეს“.

რასაკვირველია, სრული გაუგებრობა იყო ანარგიზოვანის „
მიკუთვნება არჩილისადმი. მაგრამ ებლა ზოგიერთი ისეთი ახალი ცნო-
ბა აღმოჩნდა და ზოგიერთი ისეთი გარემოება გამოირკვა, რომელიც
მნიშვნელოვანად წევს წინ პოემის ისტორიულ-ლიტერატურული სა-
კითხების გადაწყვეტას.“

¹ Очерки по истории грузинской словесности, III, Москва 1901,
стр. 99 — 100, прим. 4.

² ქართული ლიტ. ისტორია, II, 421, შენ. 5.

„ნარგიზოვანის“ ტექსტი დაუცავს ჩვენ ლიტერატურაში დღემდის უცნობ ერთ ხელნაწერს ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან (იოვანე ბატონიშვილის კოლექცია, № 28). ლენინგრადული ხელნაწერი ძირითადად წარმოადგენს ჩარდავრი შიანს და გადანუსაჟულია 1785 წელს. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „დასრულდა წიგნი ესე ჩარდავრი შიანი თიბათვის იც (18), ქორონიკონსა უოგ (1785)“. მაგრამ ჩარდავრი შიანის გარდა ხელნაწერში მოთავსებულია აგრეთვე ნარგიზოვანიც, რაც მთავარია, ავტორის აღნიშვნით: „ორბელიანის ნათქვამია“-ო.

ეს ხელნაწერი თავის დროზე პკუთვნებია იოვანე ბატონიშვილის მეუღლეს, ზურაბ წერეთლის ასულ ქეთევანს. ხელნაწერს ბლომად შემოუნახავს ამის დამამტკიცებელი სათანადო მინაწერები.

ამრიგად, წერეთლიანთ ხელნაწერში დაცული „ნარგიზოვანის“ ტექსტი უძველესია დღეს-დღეობით ცნობილთა შორის. ჩვენ ამჟამად უკვე მოგვებოვება „ნარგიზოვანის“ მე-18 საუკუნის რედაქცია. ამ მხრით ამოვსებულია მნიშვნელოვანი ხარვეზი და ისიც გადაწყვეტილია, რომ 1785 წელი პოემის შეთხვის post quem non თარიღია (ე. ი. ნარგიზოვანი ვერ შეითხვებოდა 1785 წლის შემდეგ). „ნარგიზოვანის“ ერთი რეალია საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ ტექსტის ჩამოყალიბების ante quem non თარიღიც (ე. ი. თარიღი, რომლის უადრეს ვერ დაიწერებოდა). სახელდობრ, „ქილილა და დამანას“ სულხან-საბა ორბელიანის სეული რედაქცია¹ იძლევა „ნარგიზოვანის VIII კარის („ქართლი შვენიერია“) როგორც მეტრულ, ისე სრულ კომპოზიციურ პროტოტიპს. ესაა ლექსი „ქალი“, რომელიც ჩვენ გამოვაძევებით „ქართული სიტყვა-ქაზმული მწერლობის ანთოლოგიის“ II წიგნში (ტფ., 1928, გვ. 135) და რომელიც თავის მხრით საილუსტრაციო მაგალითად შეუტანია თავის სახელმძღვანელოში („ქაშნიქში“) ქართული ნორმატიკული პოეტიკის ცნობილ კანონმდებელ მამუკა ბარათაშვილს.

აი ეს ლექსიც მთლიანად, „ნარგიზოვანის“ სათანადო კარის პარალელურად:

¹ ამის შესახებ იხ. ალ. ბარამიძის „ანგარი-სოპაილის, ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები“ (ნარგვევები ქართული ლიტერატურის ისტორიდან, I, 1932, გვ. 170 — 304).

[ქ ა ლ ი]

1. კარგს ქალს ვინ ლირსა, მოარჩენს ჭირსა,
ზრუნვას მოილხენს, ვინ უჭვრეტს პირსა,
ნუმცა შეხვდები ანხელსა და ძვირსა,
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!
2. ავგულნი ქალნი, სახმილის ალნი,
რა გინდ შევნოდეს ოოგორცა ლალნი,
მაშინც არ გარგან, ვითა კლდე სალნი,
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!
3. ურცხვია დიდად, ქმარს გახდის ფლიდად,
ზედ სვლას დაიწყებს, გაიდებს ხიდად,
არად შეირცხვენს შვილის გასყიდად,
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!
4. თვისსა ნაქმარსა აბრალებს ქმარსა,
დღე-ყოველ თვალში აწურებს ძმარსა,
მალ-მალ აგინებს: „ვა შენს ამარსა!“
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!
5. ქმარს ზედა სხედან, დეზითა სჩხვლენან,
ხელთ ტართა ასთვენ და ჩქარად ვლენან,
ზედ დაჰყვედრიან: „რად ესრე ჰქმენან?“
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!

[ქართლი შვენიერია]

1. გტრფიალობ, მზეო, თუ შენკენ მზეო,
ერთხელ მისმინე, ორჯელ, სამზეო,
ვერა ვცან შენი გონება, ზნეო,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!
2. ქართლია მოთხე, ვითა სამოთხე,
ავნი არ სჭირან, ვით სამოთ ხე,
მდინარის პირსა დგანან სამ-ოთხე,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!
3. დგანან ხილ-ხენი, ქვე სხედან ერნი,
კორდნი მწვანენი, ზურმუხტის ფერნი;
მათნი მნახველნი გაყმდების ბერნი,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!

4. ქართველი ლომნი, უყვარან ომნი,
ბრძენი, სამრთონი, საეროს მდომნი,
ნადირთა მსრველი, მოედანს მზომნი,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!
5. ქართველთა ქალნი, ვით ბროლ-ფიქალნი,
თეთრი, ყირმიზი, პირზედ აქვთ ხალნი,
მათთა მნახავთა მოედვის ალნი,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!

ვფიქრობთ, რომ მოყვანილი პარალელური ტექსტები უეჭველად ცხადყოფს მათს სრულ იგივეობას როგორც მეტრული აღნაგობით, ისე რიტმული ნაირობით, რითმული სისტემით, სტროფიკით და მთელი კომპოზიციური სხეულით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სტროფების მეოთხე ტაქტთა (რეფრენის) სრული დამთხვევა:

ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვენელია!
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!

აქ განმეორებულია ტაქტების დასაწყისი სიტყვებიც (ჰქვიან მას). ყოველივე ამის გამო დამოწებებული ტექსტების გენეტიკური კავშირი უდავოა, ორში ერთი: ან სულხან-საბა ორბელიანის „ქალია“ დამოკიდებული „ნარგიზოვანის“ ტექსტზე, ან, პირიქით, „ნარგიზოვანია“ შთაგონებული სულხან-საბა ორბელიანის „ქალით“¹. ჩვენ პირადად მეორე მოსაზრების სასარგებლოდ ვიხრებით. მართალია, „ქართლი შვენიერია“ იდეურადაც სავსებით ეგუება სულხან-საბა ორბელიანის სახელს, მეტის თქმაც შეიძლება, მე-18 საუკუნის პოეტებისგან თითქოს საბას (გურამიშვილთან ერთად) ყველაზე უფრო შეეფერებოდა პატრიოტიკა, მაგრამ ეჭვს იწვევს „ნარგიზოვანის“ სხვა კარები, რომლებიც ძლიერ მხურვალე ეროტიზმით არის გაუღენთილი. ეროტიკა კი არ გამოდგება სულხან-საბა ორბელიანის პოეზიის დამახასიათებელ მოტივად. თანაც საბასთვის არაა დამახასიათებელი არც მუსა მბაზური ყაიდის ლექსი. ამიტომაც „ქართლი შვენიერია“ (და მასთან ერთად მთელი „ნარგიზოვანიც“) საბასეული „ქილილა დადამანას“ რედაქციის საბოლოო ჩამოყალიბების, ე. ი. მე-18 საუკუნის ოციანი წლების, შემდეგ უნდა იყოს შეთხზული; ცხადია, არა უგვიანეს იმავე საუკუნის ოთხმოციანი წლებისა.

¹ სხვათა შორის ამის წაბატვით არის შეთხზული მამუკა ბარათა შეის ლექსი „უცხო“ (წ. კ. კოლექციის ხელნაწერი № 303, გვ. 35 — 36).

აღნიშნული დროის (მე-18 საუკუნის ოციან-ოთხმოციანი წლების) მანძილზე ცნობილია რამდენიმე მნიშვნელოვანი პოეტი ორბელიანთა გვარიდან, სახელდობრ: ვახტანგი, დიმიტრი, მზეჭაბუკი და დავითი (დავით სარდალი). დაბეჯითებით ძნელია თქმა, თუ ამათგან ვინ უნდა იქნას მიჩნეული „ნარგიზოვანის“ ავტორად (ისიც კი არის შესაძლებელი, რომ პოემა არცერთ დასახელებულ პირს არ ეკუთვნოდეს). ისე კი თითქოს ყოველივე უფრო უკანასკნელი ორბელიანის, ე. ი. დავით სარდლის სასარგებლოდ ლაპარაკობს. დავითითავის დროის ჩინებული ლიტერატორი იყო, კერძოდ პოეტი, ეროტიკული ლექსების ავტორი და დიდი პატრიოტი, სხვათა შორის, ბესიკის საუკეთესო მეგობარი და ბესიკის ლიტერატურული სკოლის მიმღევარი. „ნარგიზოვანიც“ საქმაოდ ატარებს ბესიკისებური ეროტიკისა და ბესიკისებური პოეტური სიტყვის ნიშანდობლივ თვისებებს. აქ უნდა დაისვას წერტილი. მეტის თქმის უფლებას ჯერ არ იძლევა ჩვენ ხელში მყოფი მასალები.

აღ. ბარაშიძე

25. 5. 35.

8 0 9 6 8 0


53761
2
E

I

ნარგიზოვანი

1. ჰე, საყვარელო, შენის გონებით,¹
ხელ ვარ მინდორსა თავის ღონებით,
სიმღიღრე მიჩანს დრამის წონებით,
გეხვევი ყელსა, თვალ-შვენიერო!
2. მე მიჩანს წინა სანთლად მნთებელად,
შენ იქმენ ჩემთა ცეცხლთა მგზებელად,
ალარვინ მივის გულის მდებელად,
გეხვევი ყელსა, თვალ-შვენიერო!
3. შენთვის სიკვდილი მაჩინია პირსა,
ცრემლსა ვაპურებ ზედ დანატირსა;
ვინდა შემიტკბობს თავ-განაწირსა,
გეხვევი ყელსა, თვალ-შვენიერო!
4. მოგიძლვენ სული, შენთვის წასული,
ალვა ხარ ნორჩი, ტევნად ასული,
მტერად გჩანს შენთვის ველად გასული,
გეხვევი ყელსა, თვალ-შვენიერო!
5. მზესა ნათლითა შენგან აქვს კლება,
დამწვარსა გულსა სწადს შენი ხლება,
ისრით ნაკრავსა აჩინა ლება,
გეხვევი ყელსა, თვალ-შვენიერო!

¹ მთელი ამ თავის ყოველი კენტი ტაქპი (სტრიქონი) ბოლოვდება სამართლება „ნარგიზოვანი“.



6. უშენოსა მაქვს ცეცხლთა ღებანი,
ჩალად მჩანს ჩემი ქვეყნად რებანი,
დაგვიწყდი, მითხარ, რა მაქვს შვებანი?
გეხვევი ყელსა, თვალ-შვენიერო!
7. ცოცხალსა მსურდა შენი მონება,
არ მომხვდა ბროლის სჭეტსა კონება,
ამად ვტირ, არ მაქვს ჭირთა ფონება,
გეხვევი ყელსა. თვალ-შვენიერო!

II

გთვარე ვნახე მავალი

1. მთვარე ვნახე მავალი,
კირნი ვუთხარ მრავალი,
ჩემი პატიჟო მავალი, არ შემიბრალე!
არ მე ვიყავ შენთვის ხელი? შენ იქმენ ჩემი
მკვლელი!
2. არა მაქვს თვალთა რული,
შენი მკლავს სიყვარული,
ცრემლი ვყავ ცრემლთა შერთული, არ შემიბრალე!
არ მე ვიყავ შენთვის ხელი? შენ იქმენ ჩემი
მკვლელი!
3. შენთვის ხელობს გონება,
სურის თვალთა კონება,
გძულს ჩემი ყმურად მონება, არ შემიბრალე!
არ მე ვიყავ შენთვის ხელი? შენ იქმენ ჩემი
მკვლელი!
4. თუ მაქვს უშენოდ წამი,
მტრად შემექნას წამწამი,
მიჩვენე ტანი ლერწამი, არ შემიბრალე!
არ მე ვიყავ შენთვის ხელი? შენ იქმენ ჩემი
მკვლელი!
5. შენის გზისა მჭვრეტელი,
ჩემთა დღეთა მრეტელი;
შენ სისხლთა ჩემთა მხერეტელი, არ შემიბრალე!
არ მე ვიყავ შენთვის ხელი? შენ იქმენ ჩემი
მკვლელი!

6. შენს გზაზედ დამრჩა თვალი,
ტირი მჭირდა უთვალი,
სევდით მაქვს გული დამთვრალი, არ შემიბრალე!
არ მე ვიყავ შენთვის ხელი? შენ იქმენ ჩემი
მკვლელი!
7. მაშინდა ნახვა შენი,
განა ძებნა შენი,
დამექცა ლხინად ნაშენი, არ შემიბრალე!
არ მე ვიყავ შენთვის ხელი? შენ იქმენ ჩემი.
მკვლელი!

III

300 მემდურვი, მზავ, რასა

1. ვიცი მემდურვი, მზევ, რასა,
შენის პირისა მზერასა!
თუ არ მაკოკო, მზევ, რასა?
აპა რასათვის მომკლავს ნახვა შენი!
2. ვთქვა, რა მინდა შენთვის ხელსა?
მომეკიდოს ხელი ხელსა,
გარღმეხვიოს ყელი ყელსა,
უწყალოვ, მაკოცებდეს. პირი შენი!
3. გული შენს ეშუზედ დამება,
სევდა სევდასა მამება,
მსურს შენთვის თავის წამება,
უწყალოვ, შენ დამარხე ხელი შენი!
4. მომხედე შენთვის მტირალსა,
უწყალოდ განაწირალსა,
დაუწვავს გული ხშირ ალსა,
უწყალოვ, შენ დაშრიტე ცეცხლი შენი!
5. თავი დამიც სამონებლად,
მინდა გყვანდე საგონებლად,
ერთხელ გულსა საკონებლად,
უწყალოვ, შემიხვევდეს გული შენი!

6. რა სინაზისა ხმა მეცა,
გულსა საკვდავად დამეცა,
ეს ყველა შენგან მომეცა,
უწყალოვ, პატიჟი მჭირს მრავლად შენი!

7. მოგშორდი სულთა მდგომელო,
ნათელო მიუწდომელო,
ჩემო სინაზით მწყრომელო,
უწყალოვ, ნულარ კუშტობს გული შენი!

IV

ჩემი საუკარლის თვალები

1. ჩემი საყვარლის თვალები სანიაღოდ მთვრალები,
მისთვის მაქვს სევდა მრავლები, ეშყთაგან დაუთვალები.
მე მისთვის გული ვალები, რადგან მეცების ალები,
მაჩნია გულსა ნალები, ამაღ ვარ შესაბრალები.
2. თვალს თვალი უყვარს, გულს გული, ყელს ყელი
დაემონების,
ინდისა შავნი ხუჭუჭნი კავ-ზილფად შეეწონების.
კეპლუცობა და სინაზე მჟვრეტელთა მოეწონების,
ლამაზი ტუჩი ლამაზსა ტუჩებსა დაეკონების.
3. მსურდა საჭვრეტლად მეხელთა ბაგისა სიმცრო, სინაზე,
ნახვისა ჟამი არ მომხვდა, უცხოდ რამ მოეწყინა ზე,
ოცნებით ფერი კრთოვოდა მოწითულისა მინაზე,
პატარა ცვარი ვარდზედა განკრთომით გაეყინა ზე.
4. უამაღ მექადის სიკედილსა, არ ვიცი რა მაქვს წყინება,
რისხვითა წამწამ შეფრევევით არ მისცის გულსა
ლხინება,
სულთქმითა, ქვე-ქვე პვრეტითა მიხშირის ცრემლთა
ღინება,
ტევრთაგან ზილფთა ნაკაფი, გლახ, გულზედ მიეფინება.
5. შენთვის ვასიბრძნებ პირებსა, სულ ვათქმევინებ ჭირებსა,
რა მნახავ ანატირებსა, შეშიტკბობ განაწირებსა,
შენც შემიბრალებ მცირებსა სულთქმითა დანახშირებსა,
დამიშრობ ცრემლთა მილებსა, მიხვდება გული ლხინებსა.

6. ხამს, რომე შენსა ციალსა თვალთა წინაშე ესახევდე, ოდესუა ალვად ნაზარდსა ლერწამსა ტანსა ესახევდე. მომსვლელსა წამწმის ისარსა უწყალოდ გულსა ესახევდე, რა მგამა მოკლვა თავისა, მზესა მყოფ ჯდომით ესახევდე.
7. მე ვითა მქონდეს აქამდის უშენოდ წამის ყოფანი? მოგაგონდების წინას-წინ ნადიმი, ერთგან ყოფანი, სმა, თამაშაი, სიმღერა, ნადიმი, ერთ განყოფანი. ბელმა მიმუხთლა, მით შემქმნა უცნობოდ გზა გაყოფანი.
8. რა აქლემი ცასა ზომდეს, ზაქმა სიბრძნე იჩინოსა, ვირი მლერდეს, მგელი მლვლობდეს, დათვი მოძლვრად იდგინოსა;
9. შენ გტრაფიალობ ხმელთა მზეო, განა ვარდო მაისურო, მე მწვავს შენი სიყვარული, ხამს რომ შენცა მაისურო, ლერწმად დამრგე ბალსა შენსა, შენ ჩემზედა მაისურო, არ დამიჭრა გული წყლული, სისხლი სმად არ მაისურო!
10. პე, გულო, სულთქმის სადგურო, ხარ ცრემლთა დენით მდიდარი, მოყვრისა მუხთლად ქცევითა ეშუი გაქვს დანაბინდარი, რაზომცა სწყრები, ეგრეცა მისკენ ხარ მინაზიდარი, თვით ლალი ლალობს განცხრომით, შენ შეგქმნა განაკიდარი.

V

შენ, საუვარელო, რა ჭახველ...

1. შენ, საყვარელო, რა წახველ, მე დავრჩი შესაბრალები, შენთვის სალხენსა ლოცვასა მიწყივ არ დავეცალები. თილისმით ყელსა დაგკიდენ ორნივე ჩემნი თვალები, ღუბჭირის თვალი ბოროტი არ გვერდეს ავად მთვრალები.
2. შენ ხ არ ტან-ალვად ნაზარდი, ზარიფად მიმონარები, შენ ხარ ნათლისა სავანე, აჩრდილ-თვალმიუქარები. შენი მსურს შეყრა სალხინოდ, დამვიწყდეს ჭირნი მრავლები, ნუ თურე მაშინ დამიშრეს თვალთაგან ნაწანწყარები.
3. რა სჯობს რა კაცსა თანა პყვეს საყვარელი და თვისები, მათთან ჯდეს ლალად შვებული, სიშორე სძაგდეს მყისები, საუბრად სიტყვა ტქბილობდეს საყვარლად შესატყვისები! იგი გაჰყაროს სოფელმან, რად არ არს გასამქისები?!
4. ინდოთ მეფისა ქალაქსა დავრიში დაჯდა კარებსა, საქმე რამ პქონდა საჭირო, ყინულსა პგვანდა მდნარებსა, არვინ პკითხევდის: „სით მოხვედ, რას ლამი საბჭობარებსა?“ არცა ვინ ამბავს უსმენდა, არცა ვინ საუბარებსა.

5. უხმს მელექსესა ცნობილსა სიბრძნისა წვრთითა
სიტყვობდეს,
ზენათ ფრენისა სურვილით ზოგთ ხევდეს, ზოგთა
მთქმელობდეს.
მისსა ისწრაფდეს ნახვასა, შათ სულელურად
ხელობდეს,
სოფლის საკუთრით ქცევასა ამისთვის უკუმყრელობდეს..

VI

შითელი ვარდი გიუვავის პირსა

წითელი ვარდი გიუვავის პირსა მნათობსა, სვიანსა,
ეშყი გაქვს მეტად სანდომი, აშაქრებ სიტყვას წყლიანსა—
შენი შვენება, სინაზე აკრთობს ყოველსა ჭკვიანსა,
ჭაბუკნი ასწყდენ სურვილით, დღესა უმოკლებ მზიანსა.

VII

სადა ხარ ისრებ მართალო? მართალო?

1. სადა ხარ ისრებ მართალო, ტან-საროვ, სიტკბოვ-ნელია? სევდით ვტირ შეჭირვებული, ცრემლით ვარ ხშირად მრწყველია,
რად შემქმენ მტერთა საკიცხად აქამდის უზრუნველია?
დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ლარიბად მსვლელია!
2. მე ვიყავ მტკიცე მოყვარე, სამკვიდრო შეუძრველია,
მწარის ხელობით დაგაგდე, გლახ, ჩემი სასურველია,
მოკლული, სულთა მიხდილი, სირცხვილის სადალველია,
დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ლარიბად მსვლელია!
3. ვერ ხედავ, ვერსით ვერ გესმის ეს ჩემი საჭმუნველია,
ესელა მიყავ, მგულობდე, ცეცხლი ნახული მთქმელია.
არ ვერიდები სიკვდილსა, ამად ვარ უზრუნველია,
დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ლარიბად მსვლელია!
4. სადა ხარ, თვალთა ნათელო, გულთაგან საძებნელია,
სად გაგიძიგარ მოყვარე, არ ადვილ საპოვნელია?!
თუ გული გულსა არ მოწმობს, სიკვდილი სანატრელია,
დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ლარიბად მსვლელია!
5. არა ვარ გლახა, გლახურად დავვლიდე მომთხოველია,
არც ყოფად მიმაქეს საცაჭროდ, არ სხვაზედ გასათვლელია,
არ გაუძიგარ მოყვასთა, სიმუხთლით არ ვარ მკვლელია,
დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ლარიბად მსვლელია!

6. ეაჲ, საყვარლისა სიშორე რაზომ ყოფილა ძნელია! თუ სადმე ნახავს ნათელსა, თქვის: „მუნ არს ჩემი მკვლელია“.
- გლახ, რა ვქნა მოშორვებულმა, ცრემლი ვყავ ცრემლთა მრთველია,
დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ღარიბად მსვლელია!
7. გასმია კარგი მოყვარე ძნელად არს საშოვნელია! ვის კარგი კარგად არა სჩნდეს, არს ესე საგმობელია! მე რა მხედველი უფერსა, აწ გშორავ მომწყენელია.
დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ღარიბად მსვლელია!
8. მოვშორდი სულსა და გულსა, პე, ჩემთა სულთა მდგმელია,
გულდაქოდილსა, მტირალსა, გლახ, სული ალარ მელია. ჭირად მჩანს შვება სოფლისა, არა ვარ ჭირთა მხსნელია,
დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ღარიბად მსვლელია!
9. გახსოვარ გულსა, არ ვიცი, ჭორად ხარ გამგონელია, მწყევლი, თუ გზასა მილოცავ, სიმშვიდე გულის- მთქმელია.
მიძრიდა თვალთა ნათელი, მეწია გულსა ბნელია,
დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ღარიბად მსვლელია!
10. ნეტარ თუ მოვკვდე, მეწიოს სიკვდილი უამთა მცვლელია,- გგულობდე ჩემთვის მტირალად, იგ ჩემად სასურველია, მით აღმძისრულდეს წადილი, გულთაგან სათხოვნელია,
დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ღარიბად მსვლელია!
11. გახსოვდე, მზეო, შენ იყავ ჩემთვის მზედ მომფენელია, შენი გონება მაცოცხლებს, რაზომცა გული მშლელია. სიკვდილი გესმას, მტიროდე. შენთვის ვარ სანაცვლელია,
დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ღარიბად მსვლელია!

VIII

ქართლი შვენიერია

1. გტრთიალობ, მზეო, თუ შენკენ მზეო,
ერთხელ მისმინე, ორჯელ, სავზეო.
ვერა ვცან შენი გუნება, ზეო,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!
2. ქართლია მოთხე, ვითა საამოთხე,
ავნი არ სჭირან, ვით საამოთ ხე,
მღინარის პირსა დგანან სამ-ოთხე,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!
3. დგანან ხილ-ხენი, ქვე სხედან ერნი,
კორდნი მწვანენი, ზურმუხტის ღერნი;
მათნი მნახველნი გაყმდების ბერნი,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!
4. ქართველნი ლომნი, უყვარან ომნი,
ბრძენნი, სალმრთონი, საეროს მდომნი,
ნადირთა მსრველნი, ¹ მოედანს მზომნი,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!
5. ქართველთა ქალნი, ვით ბროლ-ფიქალნი,
თეთრი, ყირმიზი, პირზედ აქვთ ხალნი,
მათთა მნახავთა მოედვის ალნი,
ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერია!

¹ sic.

IX

პირი ზამბახი

1. პირი ზამბახი, ფერად ახალი, ზედა გაქვს ხალი,
შენთა ბაგეთა სიყვარულითა ღვინით დამათვრე!
ტანი გაქვს ალვა, შენთან მწადს ხალვა, აღარ ხამს
მალვა,
ჩემის გულისა სულ-წასულისა შენა ხარ ლონე!
2. ნეტამცა შენსა სახედ ნაშენსა მამხვია ყელსა!
მე შენი კოცნა თუცა მეოცნა, აღარ მეხოცნა.
ჰე ჩემი გული, შენთვის დაგული, არ ცად აგული,
შენთა არეთა ტრფიალებითა ძებნად მომვლელმა.

X

ეს ვითა ვთქვა შენი ქება!

1. მე ვითა ვთქვა, აპა, მზეო, შენი ქება!
გული ჩემი ამაღ ბნდება,
შენთა თვალთა, აპა, მზეო, მენატრება
კოცნა ნაზისა-ნაზისა, პირი ნაზისა-ნაზისა, ხალი-
ნაზისა-ნაზისა.
2. მითხარ, რა ქნას, აპა, მზეო, შენთვის ხელმა,
ტრფიალებით ძებნად მვლელმა?
უთხარ, რა ქნას, აპა, მზეო, თვალმა ბნელმა?
პირი ნაზისა-ნაზისა, ხალი ნაზისა-ნაზისა, ტუჩი
ნაზისა-ნაზისა.
3. შენის ნახვით, აპა, მზეო, თვალთა ბინდი
მამეკიდა, თუ არ გინდი;
რა ამოვა, აპა, მზეო, ხალი — ინდი —
კოცნა ნაზისა-ნაზისა, ხვევნა ნაზისა-ნაზისა, ხალი
ნაზისა-ნაზისა.

XI

მიუციცავს შენი სახელი

1. მიფიცავს შენი სახელი,
სულო, თუ ხელი გახელი,
ალარ ვიქნები ახელი, უწყალოვ,
თავ-გაწირვით ხელი შენი!
2. ვარდს გიგავს სუნი და ფერი,
რომ მე ვარ შენი საფერი,
მაშ, ცუდად ნულარ მეფერი, უწყალოვ,
აწ მიჩვენე პირი შენი!
3. შენთა წამწამთა შენამა,
სიგრძით გაწყობით შენამა,
სრულ ღაწვენი ჩემნი შენამა, უწყალოვ,
გოზალმანი სევ მეინჯა.
4. შენის პირისა სახესა,
ვით დაუბივარ მახესა,
შეებრალდი ვინცა მნახესა, უწყალოვ,
ხშირად მომცა ეშყი შენი!
5. დასრულდა ჩემი ჭირები,
ფერად-ტა-ფერად ხშირები,
დასრულდა დანაპირები, უწყალოვ,
აწ მეუბნას პირი შენი!

ვარიანტები ღა გენომები

«ნარგიზოვანის» ტექსტი იბეჭდება 5 ხელნაწერის მიხედვით. ეს ხელნაწერებია:

N 1511 S=A.

N 28 (ლენინგრადული)=B.

N 118 S=C.

N 1516 S=D.

N 1087 S=E.

აქიდან ყველაზე უფრო სრულია და სანდოა A ხელნაწერი (N 1511), რომელიც 1823 წელს გადაუნუსხავს ცნობილ პოეტ-მწიოდნობარსა და კალიგრაფს დავით ალექსიშვილს — რექტორს (შდრ. ე. თაყაიშვილის, Описание, II, 194). B ხელნაწერი სპეციალურად განხილული მაქვს წინასიტყვაობაში. თუმცა ეს A-ზე უფრო ძველია, მაგრამ ნაკლულია და შიგადაშიგ შეიცავს წარყვნილ ტექსტს. დანარჩენი ხელნაწერები ეკუთვნის XIX საუკუნეს. კრიტიკული ტექსტის საფუძვლად აღებულია A და B ხელნაწერები. ვარიანტული წაკითხვები ნაჩვენებია რაც შეიძლება სრულად (ოლონდ გვერდი აუხვიეთ ორთოგრაფიული ნაირობის ანუსხვას).

სათაურები, და ისიც ნაწილობრივად, დაუცავს მხოლოდ A ხელნაწერს.

* * *

A კარი პირველი: ნარგიზოვანისა

1,₄ abs. D.

2,₃ abs. D.

7,₁ ცოცხალსა] დაგვიწყდი B.

A კარი მეორე: მთვარე ვნახე მავალისა

1,₂ ჭირი უთხარ B.

პირველი და უკანასკნელი სტროფის მესამე ტაქტი ზოგან ასე

იხურება: ვოი; ვოი (A). B — ხელნაწერი შხოლოდ პირველი, სტროფის მესამე ტაქტს ურთავს: ვაა, ვაა; D — ვოი, ვოი.

1,₃ პატიჟთ] პატიჟთ A, პატიჟთ B.

1,₄ არ ahs. ხელნაწერებს; მე ვიყავ] მე ვიყავ A.

3,₁ შენთვის ხელობს] შენთვის ხელობა (ყველა ხელნაწერში).

3,₃ გულს ჩემი] გულს ჩემი CE.

4 სტროფი აკლია B-s; CE-ში კი გადასმულია, ბოლოში მოდის, ოღონდ აკლია მეორე ტაქტი.

7,₃ დამექცა] დამექცია A.

A კარი მესამე: იცი მემდურვი მზევ რასა

1,₁ ვიცი] იცი ACDE; მემდურვი მე რასა D.

1,₄ მომკლავს] მკლავს B.

2,₄ უწყალოვ] უწყალოდ ACDE, უწყალო B.

3,₂ მამება] მომება (ხელნაწერებში).

5, 6 და 7 სტროფების ბოლო სტრიქონებს ხელნაწერებში აკლია. მიმართვა „უწყალოვ“, რაც არღვევს მეტრს.

6,₁ სინაზისა] სინაზის A.

6,₄ პატიჟი] პატიჟი CE.

7,₃ მწყრომელო] მყრომელო CE.

A კარი მეოთხე: ჩემის საყვარლის თვალებსა

2,₁ ყელს ყელი] ყელი ყელს B.

2,₂ შენი ხუჭუჭნი] შავი ხუჭუჭი B.

2,₃ და სინაზე] მას სინაზე B.

3,₂ უცხოდ რამ მომეწყინა ზე AD; უცხოთ რომ მოეწყინა ზე B; მომიწყინა ზე CE.

3,₃ მოწიფულსა მას (მის CE) მინაზე ACDE.

4,₂ რისხვითა] რისხვიდა B.

4,₃ სულთქმითა] სულთქმიდა B.

4,₄ ტევრთაგან ზილფთა] ტერფთაგან ზილფთა A, ტერფთაგან ზილთა CD, ტევრთაგან სისხლთა B, მტერთაგან ზილფა E.

5,₁ შენთვის ვასიბრძნებ] შენთვის ვის ბძანებ B; შენთვისა სიბრძნებრ E.

5,₂ რა მნახავ] რა გნახავ B, არ მნახავ, არ მინახავს E.

5,₄ მიხვდება გული] მივხვდები გულსა A, მიხვდები გულსა CE.

6,₁ ხამს რომ მე B.

- 6,₃ მომსლველსა] მამულსა CE.
- 7,₃ სმა, თამაში, სიმღერა] თამაშა და სიმღერა ACDE.
- 9,₂ მწვავს] მწვავს E; მაისურო] მოისურო B.
- 9,₃ მაისურო] მოისურო B.
- 9,₄ სისხლი სმად არ მაისურო] სისხლი ამად არ ისურო B.
- 10,₁ ხარ ცრემლთა დენით] ხარ არ ცრემლთა დფნით CE.
- 10,₄ შენ შეგქმნა] მე შემქნა B, შენ შეგექმნა CE.

A კარი მესუთე: შენ, საყვარელო, რა წახველ,
მე დაგრჩი შესაბრალები]

- 1,₄ არ გვჭრეტდეს თვალები B, თვალნი ბოროტნი CE.
- 2,₁ ზარიფალ] ზარიფით CE.
- 2,₃ მრავლები] მრავები A, მარვები D.
- 2,₄ ნაწანწკარები] ნაწამწუარები C, ნაწამწარები E.
- 3,₂ მათთან] მით თან CE.
- 3,₃ საუბრად] საუბრით BCD, საუბრის (სიტყვა ტკბილობდის) C.
- 3,₄ არ არს] არა არს B; 3,₄ რად არს გარს ქისები E.
- 4,₂ ჰქონდა საჭირო] ქონდა საჩქარო B.
- 4,₂ ყინულს ჰგვანდა მღინარებსა (მღინარესა CE) ACDE.
- 4,₃ საბჭობარებსა] სამჭობარებსა CE.
- 4,₄ ამბავს უსმენდა] ჰამბავს ისმენდა ACDE.
- 5,₁ და უხმას მელექსესა ცნობელსა E; სიბრძნისა წვრთითა] სი-
ბრძნისა წერით ACDE; სიტყვობდეს] სიტყვებსა B.
- 5,₂ ხევდეს] ზევდეს AD, ხევიდეს CE; მთქმელობდეს] თქმუ-
ლებდეს B.

A კარი მეექვეს: წითელი ვარდი გიყვავის პირსა
მნათობსა, სვიანსა

- 1,₂ აშაქრებ] აშქარებ CE.
- 1,₃ შენი შევნება ივრდობს (?), ახელებს ყოვლსა ჭკვიანსა B;
სინაზე აკრთობს] სინაზე კრთობსა (კრთომსა E) CE; ყო-
ვლსა] ყველასა D.
- 1,₄ ქაბუკი ასწყდეს სურვილით, დღესა უმოკლებს ხნიანსა; ას-
წყდენ] ასწყდ(?)

A კარი მეშვიდე: სადა ხარ ისრები (sic) მართალო,
ტან-სარო სიტკბოგნელია]

- 1,₁ სადა ხარ ისრებ] სადა (სად I) ხარ ისრები AD; სიტკბოვ-
ნელია] სატკბოვნელია B.

- 1,₃ უზრუნველია] უშრუნველია C.
 2,₁ შეუძრველია] უზრუნველია B.
 2,₂ დაგაგდე] დამაგდე B.
 2,₃ სირცხვილის] სიკვდილის CE.
 D ხელნაწერი წყდება ამ (VII) თავის მეორე სტროფზე.
 3,₂ ესელა მიყავ] ეხლა მიყყავ CE.
 3,₃ მკლე მოკლე, სულთა მიხდილი, სირცხვილსა რაღათ ველია B.
 4,₂ გაგიძივარ] გაგიგდივარ B.
 5,₃ გაუძივარ] გაუძივარ (ხელნაწერებში).
 6,₁ ვაჟ] ვაჟ AE.
 6,₃ მოშორვებულმა] მაშორებელმან C, მაშორებელმა E.
 7,₁ კარგი] კარი E.
 8,₁ ჩემთა] ჩემი A.
 8,₃ მხსნელია] მსვლელია E.
 9,₂ მილოცავ] მელოცვა CE.
 9,₃ მეწია] შენია CE.
 10,₁ მცვლელია] ცუალია CE.
 10,₂ მგულობდე... იგი ჩემად CE.

VII თავის მეოთხე სტროფი ამოლებულია IX კარიდან; დანარჩენი 7 სტროფი ხელნაწერებში ცალკეა გამოყოფილი, მაგრამ უდავოდ VII კარს უნდა ეკუთვნოდეს; ეს დასტურდება როგორც საერთო მეტრით, ისე, და განსაკუთრებით, საერთო რეფრენით.

B ხელნაწერი იხურება IX კარით.

VIII

შპარტლი შვეიცარია

- 1,₁ მზეო] მაზეო ACE.
 1,₂ სამზეო] სამ მზეო B.
 1,₃ დამკარგა შენმა სურვილმა, შემქმნა ღარიბად მსვლელია B.
 1,₄ ქართლ შვენიერი (ასევეა ყოველი სტროფის ბოლოშიც) E.
 2,₁ ქართლი... ვით B; ქართლია მოსთხე C, ქართლი ამოსთხე E.
 2,₂ ვიცი სამოთხე ACE, ვით საამოთ ხე B.
 2,₃ მდინარის] მდინარეს ACE.
 3,₁ ხილ-ხენი] ხელ-ხელნი CE.
 3,₂ კორდნი] ვარდნი CE.
 3,₃ ბერნი] ერნი A.
 4,₂ საეროს] საერო CE.

4,₃ მსრველნი] მსურლნი C, მსურნი E; მზომნი] მზანი B, მხდო-
მნი CE.

5,₁ ვით] მით ACE.

IX

პირი ზამბაცი

1,₂ დამათვრე] დამათვრა CE.

2,₁ შენსა] შენცა E; მამხვია] მამეხვია CE.

2,₂ თუცა მეოცნა] თუმცა მექოცნა B.

2,₃ არ ცად აგული] არცა დაგული ACE, abs B.

2,₄ არეთა] ჰაერთა ACE; მომვლელმა] ამოა კლელმა B.

B იხურება ამ კარით.

X

მე ვითა ვთქვა შენი ქვება

ეს თავი ხელნაწერებში გაერთებულია IX კართან.

1,₁ მე ვითა ვსთქვა შენი ქება ესრეთ მზეო A.

2,₁ და 2,₂ abs B.

3,₁ და 3,₂ B ხელნაწერში ერთ ტაქტადაა.

3,₂ მამეკიდა] მომეხვია ACE.

3,₃ ხალი-ინდი] ხალი ინდით B.

3,₄ კოცნა ნაზისა-ნაზისა, ხვევნა ნაზისა, ტუჩი ნაზისა, ხალი ნა-
ზისა A; კოცნა ნაზისა.

B ხელნაწერში მესამე სტროფს მიჰყება VII,₄ და XI,₅.

XI

1,₁ abs. CE.

2,₁ ვარდს გიგარეს (გიგარეს) სულნი და ფერი CE.

2,₃ მეფერი, უწყალოვ] მეფერვი უწყალოდ E.

3,₁ შენამა] შვენამა CE.

3,₂ სიგრძით] სიბრძნით CE.

3,₄ მეინჯა] მეიჯანა CE.

4,₃ abs. CE.

5,₁ ჩემი] ჩემ AC.

5,₂ ფერად-და-ფერად] ფერად-ფერადათ B.

5,₃ უწყალოვ abs. A.

ԱՐՄԵՆԻԱ

5

ალვა I, 4,₂; IV, 6,₂; V, 2,₁; IX, 1,₃ ალვის ხე.
ამარი 4,₃ [ქალი] ამარი (შდრ. შენი ამარა დავრჩი).
ახელი XI, 1,₃ ახის მძახელი, შეზარებული.

6

ბროლის სვეტი I, 7,₂ (მეტაფ.) ყელი.

7

გაყმდების VIII, 3,₃ გაყმაწვილდება, გაახალგაზრდავდება.
გლას VII, 2,₂, 6,₃, 8,₂ ვაგლას (შორისდებული).
გლისპი [„ქალი“] 1,₄, 2,₄, 3,₄ 4,₄, 5,₄ ოდეს გულისწყრომასა-
ვერ დაითმენდეს სიგლისპე არს (საბა).

8

დავრიში V, 4,₁ გლახაკი, მათხოვარი, მუსულმანთა ბერი.
დრამი I, 1,₃ წონა, საწყაო; ვერცხლის წვრილი ფული.

9

ვსახევდე IV, 6,₁ ვსახავდე, წარმოვიდგენდე.
„ IV, 6,₂ ხედ დავსახავდე, ხედ წარმოვიდგენდე.
„ IV, 6,₃ ვახებდე [შელ. ხელს].
„ IV, 6,₄ „ახ“-ს მათქმევინებდე (მავაგლახებდე).

10

ზარიფი V, 2,₁ ლამაზი, მშვენიერი.

ზილფი IV, 2,₂; IV, 4,₄ კავები (თმა).

11

კუშტობს III, 7,₄ მწყრალობს, ჯავრობს, ბრაზობს.

12

ლება I, 5,₃ ლებვა, ცემისაგან დალურჯება; ვალები IV, 1,₃
დავალურჯე.

2

მაისურო IV, 9,₁ მაისისავ (მაისის ოვისავ).

" IV, 9,₂ მოისურვო.

" IV, 9,₃ სუროდ იქცე, სუროსავით შემომეხვიტ.

" IV, 9,₄ მოისურვო (?).

მართალი VII, 1,₁ სწორი.

მგამა IV, 6,₄ მენალვლება.

მეოცნა IX, 2,₁ ოცჯერ განმემეორებია; ან მზმანებოდა.

მიწყივ V, 1,₂ მუღმივ.

მოთხე VIII, 2,₁ სკივრის კოლოფი (საბა).

3

პატიჟი II, 1,₃; III, 6,₄ სასჯელი, განსაცლელი, ჭირი, წამება, ტანჯვა.

4

საფანე V, 2,₂ სადგური, ბინა.

სარო VII, 1,₁ კვიპაროზის ხე.

სახმილი [ქალი] 2,₁ ლუმელი, ღიღი ცეცხლი.

სფინი VI, 1,₁ ბედნიერი.

5

ტევრი IV, 4,₄ ხშირი ტყე (მეტაფ. თმა, წამწამი).

6

უგლიმი [ქალი] 1,₄, 2,₄, 3,₄, 4,₄, 5,₄ გულქვასავით (საბა).

7

ფიქალი VIII, 5,₁ ქვის ფიცარი.

8

ლარიბი VII, 1,₄, 2,₄, 3,₄, 4,₄, 5,₄, 6,₄, 7,₄, 8,₄, 9,₄ 10,₄, 11,₄ ყარიბი, უცხო, გადმოხვეწილი.

9

ყირმიზი VIII, 5,₂ წითელი (მეტაფ. ბაგე, ღაულაჭა სახე).

10

ხალგა IX, 1,₃ განმარტოება, განკერძოება.

ხამს IV, 4,₁, 9,₂; IX, 1,₃ ჯერარს, საჭიროა, უნდა, ჰერობს; უხმ შეჭოერის, მოეთხოვება.

ხელი II, 1,₄, 2,₄ 3,₄, 4,₄, 5,₄, 6,₄ 7,₄; III, 2,₂; X, 2,₁; XI, 1,₄ გიური, გადარეული, შეშლილი. ხელობს II, 3,₁ — გიურის; ხელობდეს V, 5,₃ — გიურის; ხელობით VII, 2,₂ — გიურის.

ს ა რ ჩ ვ ზ 0

წინასიტყვაობა (ალ-ბარაშიძისა)	7
ნარგიზოვანი	17
მთვარე ვნახე მავალი	19
ვიცი მემდურვი, მჩევ, რასა	21
ჩემი საყვარლის თვალები	23
შენ, საყვარელო, რა წახველ	25
წითელი ვარდი გიყვავის პირსა	27
საღა ხარ ისრებ მართალო	28
ქართლი შვენიერია	30
პირი ზამბახი	31
მე ვითა ვთქვა შენი ქება	32
მიფიცავს შენი სახელი	33
ვარიანტები და შენიშვნები	35
ლექსიკონი	43

დაიბეჭდა საქართველოს მუნიციპალიტეტის — გიორგი მირონაძის
განკარგულებით.

ტექჩირა ს. იორდანიშვილი
კორექტორი დ. კორძაია

გადაეცა წარმოებას 20/V – 1936

მთავლიტ. № 7055

წიგნის ზომა 6X10

ტირაჟი 1,000

ხელმოწ. დასაბეჭ. 23/V – 1936

ქაღალდის ზომა 61X87,

შეკვეთა № 213

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტგამ. I სტამბა, ლენინის ქ. № 3.

1953/5/20

2-50